ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 მარტის N ბ22.22210817
ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი

N1

ქ. ზესტაფონი

10 აგვისტო 2021 წელი.

2021 წლის 10 აგვისტოს 16:00 საათზე ჩატარდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით მაღრაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - „სამუშაო ჯგუფის“ თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

1) დავით მაღრაძე - (ჯგუფის თავმჯდომარე) _ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

2) ია ჭუმბაძე - (ჯგუფის წევრი) - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმისა და ფორმირების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

3) ვლადიმერ ხიხაძე- (ჯგუფის წევრი) - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმისა და ფორმირების განყოფილების III რანგის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

4) ერემია სალაძე (ჯგუფის წევრი) - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონებისმართვისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის ეკონომიკისა და ქონების მართვის განყოფილების II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი(ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მ.შ);

5) მარინე სუქნიძე -(ჯგუფის წევრი) - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

6) მაია ხვედელიძე - (ჯგუფის წევრი) –ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

7) ავთანდილ კიკნაველიძე - (ჯგუფის წევრი) – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

8) ნიკოლოზ გარბაქაძე - (ჯგუფის წევრი)- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი მომსახურეობის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

9) ოლეგი შველიძე -(ჯგუფის წევრი) -ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის ხელმძღვანელი;

10) ზოია ლელაძე (ჯგუფის წევრი)- ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი

აღზრდის დაწესებულების გაერთიანების მართველი;

11) ზაზა მახათაძე -(ჯგუფის წევრი) ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სიმონ საყვარელიძის სპორტული სკოლის ხელმძღავანელი;

12) ომარი გველესიანი (ჯგუფის წევრი)-ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრის ხელმძღვანელი;

13) თამარ არაბიძე (ჯგუფის წევრი)-ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების ხელმძღვანელი;

14) თინა თუთბერიძე (ჯგუფის წევრი)-ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რ. ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელი;

15) სერგო მელქაძე (ჯგუფის წევრი)- ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ე. შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლის ხელმძღვანელი;

16) მურთაზ ჯაფარიძე (ჯგუფის წევრი)-ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის ხელმძღვანელი.

17) გოჩა გაბრიჭიძე -(მოწვეული წევრი)-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი-ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

18) ბადრი წაქაძე (მოწვეული წევრი)- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

19) ფატიმა ხუსკივაძე-(ჯგუფის მდივანი)-ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების III რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

დღის წესრიგი:

1.ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 -2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის და ასიგნების ზღვრული მოცულობების დადგენა: სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2022-2025 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები (ჭერები) შედეგების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ია ჭუმბაძე

ბატონმა დავით მაღრაძემ კენჭი უყარა, თუ ვინ არის მომხრე, დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

სხდომაზე დამსწრე ჯგუფის წევრები თანახმა არიან, დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში.

,,პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად მუნიციპალიოტეტის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმისა და ფორმირების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელძღვანელმა ია ჭუმბაძემ წარმოადგინა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.

ქალბატონმა ია ჭუმბაძემ აღნიშნა, რომ საფინანსო სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა მუნიიცპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი. დოკუმენტში სხვა ინფორმაციასთან ერთად განსაზღვრულია 2022-2025 წლებში ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პრიორიტეტებზე და ძირითად პროგრამებზე ასიგნების განსაზღვრული მოცულობები, დამატებითი ფინანსურ რესურსების მობილიზების შემთხვევაში, შემდგომში შესაძლებელი იქნება გადაიხედოს 2022-2025 წლების პრიორიტეტების და პროგრამების ასიგნების განსაზღვრული მოცულობები.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით მაღრაძემ სთხოვა სამუშაო ჯგუფის წევრებს კენჭი ეყარათ თუ ვინ არის მომხრე, მოწონებული იქნეს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2022-2025 წლების ასიგნების ზღვრული მოცულობები.

კენჭის ყრის შედეგად ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა: მოწონებული იქნას ზესტაფონის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში და ეთხოვოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს:

საბიუჯეტო პროცესის შემდგომი წარმართვის მიზნით:

- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების პირველადი ვარიანტის მოწონების შემდგომ საფინანსო სამსახურმა პროგრამების განმახორციელებელ დარგობრივ სამსახურებს, ა(ა)ი.პ-ებს გაუგზავნოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმები.
- მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე პროგრამების განმახორციელებელმა შესაბამისმა დარგობრივმა სამსახურებმა და ა(ა)ი.პ.-ებმა საბიუჯეტო განაცხადის შევსებული ფორმები წარუდგინონ მუნიციპალიეტტის 2022-2025 წლების მოცულობის ფარგლებში. ამასთან, ზღვრული მოცულობის ზემოთ ასიგნებები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას საბიუჯეტო განაცხადის ფორმით განსაზღვრული წესის შესაბამისად. კერძოდ, მოთხოვნილი გაზრდილი დაფინანსება დასაბუთებული უნდა იქნას პროგრამის ინდიკატორის გაზრდილი სამიზნე მაჩვენებლით.

დღის წესრიგით გათალსწინებული საკითხის განხილვის შემდეგ დავით მაღრაძემ სამუშაო ჯგუფის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე: /დავით მაღრაძე /

სამუშაო ჯგუფის წევრები:

/ ია ჭუმბაძე/

/ ვლადიმერ ხიხაძე /

/ ერემია სალაძე /

/ მარინე სუქნიძე /

/ მარო ხვედელიძე /

/ ავთანდილ კიკნაველიძე /

/ ნიკოლოზ ბარბაქაძე /

/ ოლეგი შველიძე /

/ზოია ლელაძე /

/ ზაზა მახათაძე /

/ომარი გველესიანი /

/თამარ არაბიძე /

/ თინა თუთბერიძე /

/ სერგო მელქაძე /

/ მურთაზ ჯაფარიძე /

/ ბადრი წაქაძე /

/ გოჩა გაბრიიძე /

/ფატიმა ხუსკივაძე /